ეროვნული ბიბლიოთეკა




საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი: გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 40 სექტემბერი 27 1898 წ. № 40

შინაარსი: საზოგადო მოღვაწეობა ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—*.* ლექსი კ. გოგოლაძისა.—საზღვარ-გარეთ.—როგორ ვიდღესასწაულოთ ასის წლის დღე საქართველოს რუსეთთან შეერთებისა ა. ხახანაშვილისა.—ჩინეთ-იაპონიის ეკონომიური მდგომარეობა—წერილები შვეიცარიიდან დ. თოფურიძესი და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

## საზოგადო მოღვაწეობა.

II.

როგორც პირველ წერილში დავინახეთ, ასპარეზი საზოგადო მოღვაწეობისა დაცლილია, დაცალიერებულია. აქ ფეხს ვერ იკიდებენ ვერც „დალალოულნი“ და ვერც „დალალოულთა მოტრფიალენი“. ეს არა იმიტომ რომ არ სურდეთ, განზრახვა არ ჰქონდეთ, არამედ იმიტომ რომ არ შეუძლიათ, არ ეხერხებათ. ისინი გაჟღენთილნი არიან იმ აზრებით დ შეხედულობით, რომელნიც გასულ ხანაშია შემუშავებული და შექმნილი. ხოლო დღეს კი სრულიად ახალი ხანაა, სრულიად ახალი მოთხოვნილებაა და რაღა გასაკვირალია ეს ახალ მოღვაწეთ, ახალი იდეებით აღჭურვილთ, თხოულობდეს. ყოვლად შეუძლებელია ძველი საზოგადოება ძველებური მოქმედებით განახლდეს და გადახალისდეს. განახლება ნიშნავს შეცვლას ერთი წყობილების მეორე წყობილებით, მაშასადამე უნდა შეიცვალოს ერთი აზროვნება მეორე აზროვნებით, ერთი მოღვაწეობა მეორე მოღვაწეობით. მარა ყოველგან პირველი პროცესი წინ უსწრებს მეორეს, ნივთიერი მდგომარეობა ყოველთვის უფრო ჩქარა იცვლება, ვინემ გონებრივი. ეს ბადებს კრიზისს და არეულ-დარეულობას საზოგადო მოღვაწეობაში. და სწორეთ ასეთ პირობებში ვართ ჩვენ დღეს. ცხადია, ზემოთ დასახელებული ჯგუფნი ცხოვრებას ჩამორჩენ და ფიქრი იმაზე, რომ ისინი ისევ მოეწევიან ამ ცხრა-ფეხიან რაშს—უბრალო ოცნებაა. ოცნებაა იმიტომ, რომ ჩამორჩენილნი არ გრძნობენ ჩამორჩენას, და მაშასადამე არც მეცადინეობენ აჩქარებას. პირ იქით, ისინი გაიძახიან: ჩვენ კი არა თვითონ ცხოვრება დაიბნა, თვითონ საზოგადოებას დაეკარგა გზა-კვალიო და ამას მარშრუტს უწერენ ასე უნდა იაროს და არა ისეო. ეს ერთნაირი მოღვაწეობაა, მარა მოღვაწეობა „სარეცეპტო“ და არა საზოგადო.

ამათგან ერთიანათ განირჩევა ახალი მოღვაწე. ის პირველ ყოვლისა არავითარ რეცეპტს არ წერს, არავითარ მარშრუტს არ ადგენს. ის ცნობს ცხოვრების მსვლელობას ისე, როგორც არის, სურს მხოლოთ ეს გამოარკვიოს და ახსნას. მართალია ეს მსვლელობა უიმისოთაც წარმოებს, მარა მისი ახსნა და შეგნება გაადვილებს ამ გზას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაანაყოფიერებს მოქმედებას. დეე შეგნებულათ გაკეთდეს ის, რაც შეუგნებელათ კეთდება; დეე, თვალხილულათ ვიაროთ იქ, სადაც თვალ ახვეულათ დავდივართ. მოქმედება ხომ აუცილებელია, უთუოთ უნდა ვიშრომოთ, რომ ვიცხოვროთ. მარა ბრმა მოქმედება, უთავბოლო შრომა სრულიად არ არის აუცილებელი, ცხოვრება ამას სრულიად არ მოითხოვს. ჩვენი ერი დღეს მუშაობს, ფაცა-ფუცობს აქეთიქით მიექან-მოექანება, ცდილობს თავისი აწმყო და მერმისი მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს. მარა ყველა ეს ახალ კალაპოტში, ახალ პირობებში ხდება. ამ კალაპოტის გაშუქება, ამ პირობების გათვალისწინება —მისცემს ერს უდიდეს ღერძს მოძრაობის და წინმსვლელობისას. და აი საითკენ უნდა იყოს მიმართული საზოგადო მოღვაწეობა, აი რით უნდა იყოს მოცული მოღვაწის ყურადღება. ამით ის ერთი დაკვრით ეშვება ხალხის გულში და იქ ეძიებს წყაროს თავის მოქმედებისას. ამით ის რწმუნდება, რომ ცხოვრების ბორბალს ხალხი ატრიალებს და საერთო მაჯის ცემა ამ ტრიალით განიზომება. ეს უკვე ერთი ნაბიჯია წინ გადადგმული. ჩვენ საზოგადოთ მაღლა-მაღლა ვიყურებით და არ ვხედავთ იმ მოძრაობას რომელიც დაბლა წარმოებს. . . . . მოღვაწეობაც იმაში მდგომარეობს, რომ შენ მანამდი დაინახო რაიმე მოვლენა, სანამდი ყველა დაინახავდეს. და რაც უფრო შორს ჭვრეტ, რაც უფრო შორეულ მოვლენას ამჩნევ, მით უფრო მაღლა დგეხარ საზოგადო მოღვაწეობის საფეხურზე.

მარა საკმარისი არ არის ერის გულში ჩახედვა და იქ ცვლილების დანახვა. საჭიროა ვიცოდეთ რა ცვლილებაა ეს, საიდან მოდის ის და საით მიდის, რა არის მისი შინაარსი და გარეგანი ფორმა. საზოგადოებაში არსებობს დამოკიდებულობა არა მარტო ადამიანთა შორის, არამედ მდიდარ და ღარიბ, დაჩაგრულ და დამჩაგვრელთა შორის. ე. ი. ხალხის ერთი ჯგუფის ინტერესი ეწინააღმდეგება მეორე ჯგუფის ინტერესს და ეს გარემოება აიძულებს თვითოეულ მათგანს ერთმანერთს შეებრძოლოს. აი ამ ჯგუფთა ანუ კლასთა განვითარება არის იმავე დროს ნაციონალური განვითარება. გამორკვევა იმის თუ როდის რა კლასი ვითარდება, როდის რა ნაციონალური ცხოვრება მკვიდრდება—არის მიზანი და ლტოლვილება საზოგადო მოღვაწეობის. მთელი წარსული და აწმყო გვიჩვენებს, რომ გაბატონებული კლასი დგას ერის სათავეში და აწყობს ყოველივეს თანახმათ თავის შეხედულობების და ინტერესებისა. მისი ასეთი მიდრეკილება ქმნის მთელ შინაგან წყობილებას და გარეგან ურთიერთობას. წინააღმდეგობა კლასთა შორის იწვევს წინააღმდეგობას ერთა შორისაც, ორი ერის ინტერესი ერთმანერთს შეეჯახება და იწყება ნაციონალური ბრძოლა. თანახმათ იმისა თუ როდის რომელი კლასი უფროსობს—ეს ნაციონალური ბრძოლაც სხვა-და სხვა ხასიათს და ელფერს ღებულობს. ამის გამოცნობა და გარკვევა საზოგადო-მოღვაწეობის აუცილებელი მოთხოვნილებაა. ორივე ეს პროცესი წარმოებს დღეს ჩვენში და მაშასადამე ორივე ეს მოითხოვს საზოგადო-მოღვაწეთა ყურადღებას. ამ ნიადაგზე აღმოცენებული კითხვები არიან ჩვენი არსებობის ძირ-თად კითხვები და მათი გადაჭრა უპირველესი მოვალეობაა. და ის ვინც თვალებზე ხელს იფარებს და ამას განგებ არ ხედავს არავითარ შემთხვევაში მოღვაწეთ არ ჩაითვლება. ეს რასაკვირველია, სულ ერთია რომელი მოღვაწე რომელი კლასის ან მიმდინარეობის მებაირახტრეთ გამოდის. საქმე იმაშია, რომ ის ვამოდიოდეს, საზოგადოებას აუხიზლებდეს და არა ძინავდეს და არც სხვებსაც აძინებდეს. მიმართულების მხრივ, საზოგადო მოღვაწენი შეიძლება ორ დიდ ბანაკათ გავყოთ: ერთს შეიცავენ ისინი, რომელნიც ახალ მოქალაქობრივ ცხოვრებას ებრძვიან და ძველი ცხოვრების დამაგრებას მეცადინეობენ; მეორეს კი ისინი, რომელნიც ახალ ცხოვრებას მხარს უჭერენ და ძველისაგან განთავისუფლებას მეცადინეობენ. პირველის სატრფიალო საგანია წოდებრივი და ფეოდალურ—სოფლური ურთიერთობა; მეორისა კი ადამიანური და მოქალაქური განწყობილება. ამ ორ მიმართულებას შორის არავითარი შემაერთებელი ხიდი არ არის და მათი ერთმანერთთან ბრძოლაც სამკვდრო-სასიცოცხლოა. პირველის მოღვაწეობა არის მოღვაწეობა ფეოდალური, მეორის კი მოქალაქობრივი. ეს უკანასკნელი თავის მხრით განიყოფება რამდენსამე ჯგუფათ. სამოქალაქო ასპარეზზე დღეს სხვა-და-სხვანაირი ხალხი გამოდის და იბრძვის არსებობისათვის. აქ არის მრეწველი, ვაჭარი, ხელოსანი, ლაქია, მზარეული, მუშა და სხ. ზოგი ამათგანი ბატონობს და ზოგი მორჩილობს, ზოგისთვის ცა ქუდი და დედამიწა ქალამანია, ზოგისთვის კი ორივე ჯოჯოხეთია. ყველა ამათი ინტერესია თავი დააღწიონ ძველ მობერებულ წყობილებას და ამიტომ ერთათ დგანან პირველ ბანაკთან საბრძოლველათ. მარა სამოქალაქო ნიადაგზე ისინი ერთი მეორის დაუძინებელი მტერი და მუდმივი მოწინააღმდეგეა. აქ დიდ უმრავლესობას რასაკვირელია, დაჩაგრული ნაწილი შეადგენს. ეს ნაწილი უკვე იძლევა მოწინავე რაზმს, ავანგარდს, დაჩაგრულთა ინტერესის დასაცავათ. ბრძოლაში დღეს ის იმარჯვებს, ვინც უფრო შეგნებული და გონება განვითარებულია. ამიტომ არის, რომ ყველა დღეს სწავლა-ცოდნას ეტანება. მარა არის სწავლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწავლაც. ამ არსებობისთვის ბრძოლაში ის სწავლაა ხელ-საყრელი და სანატრელი, რომელიც მებრძოლთ შეაგნებიებს თავის ინტერეს, გააგებიებს თავის მდგომარეობას. და აი სწორეთ აქეთ მიილტვის ჩვენი ხალხის მოწინავე რაზმი. აი რას გვიწერს ერთი მუშათა გუნდი: „შევიგნეთ რა ოდნავათ ჩვენი უკიდურესი მდგომარეობის მიზეზი და ვხედავთ რა—თუმცა გაურკვევლათ—საშუალებას ამ მდგომარეობის გაუმჯობესობისას, ჩვენ განვიზრახეთ საერთო ძალღონით მოქმედება და ვცდილობთ რაც შეგვიძლია გულ მოდგინეთ შევუდგეთ ჩვენი სურვილის განხორციელებას. სურვილი ჩვენი არის ვიმეცადინოთ სანამდის ლონე შეგვწევს და ცოტაც არი მაინც გამოვალვიძოთ ჩვენი მიძინებული გონება. . . . . კიდეც იმისთვის ჩვენ განვიზრახეთ, რამდენათაც ეს ჩვენთვის შესაძლებელი იქნება საერთო ძალით გამოვიწეროთ ჟურნალ-გაზეთები და სხვა სასარგებლო წიგნები და ცოტათ მაინც გამოვიდეთ იმ სიბნელე-უვიცობის მორევისაგან, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით...“ აი, როგორ თხოულობენ მეტ სინათლეს, მეტ ცოდნას და განვითარებას! და თანამედროვე მოღვაწის უწმინდესი მოწოდება აი ამ ხალხის მეთაურობა და მისი „უვიცობის მორევის“ შემუსვრაა... ეს იქნება იმავე დროს არა მარტო საზოგადო მოღვაწეობა, არამედ პროგრესიული მოღვაწეობაც, ის მოღვაწეობა, რომელიც დაბალ საფეხურიდან მაღალზე გადაგვიყვანს და მოწინავე ხალხებთან გაგვათანასწორებს...

ნ. ჟორდანია.

---

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ტფილისის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე ხმის უმეტესობით გადაწყვიტა: გამოყიდულ იქმნას თფილისის ცხენის რკინის გზა და ის ქალაქმა აწარმოვოს. ხოლო როცა საბჭო საჭიროთ ცნობს იჯარით გაცემას, განაახლოს მოლაპარაკება მოიჯარადრეებთანო.

—

განზრახვა აქვთ ავჭალიდან თფილისამდე მეორე მილით გამოიყვანონ კიდევ წყალი, რადგანაც ერთი მილის წყალი არ ყოფნით.

—

თფილისის საბალოსნო სკოლის მდგომარეობის გამორკვევა მინდობილი ჰქონდა განსაკუთრებით კომისიას. კომისიამ ახლა დაასრულა მუშაობა და შემდეგ გადაწყვეტილებას დაადგა: სკოლაში შესვლის უპირატესობა მიეცეთ სოფლის ყმაწვილებს, შემცირდეს მოსწავლეთა რიცხვი, სწავლის ფული 5 მანეთის მაგიერ 6 მან. 50 კაპ. დაწესდეს, მოემატოს ერთი აღმზრდელი და ერთი მეთვალყურე და სხ. ამით ფიქრობენ სკოლა ააცდინონ ისეთ არეულებებს როგორიც უკანასკნელათ მოხდა.

—

კავკასიის უმაღლეს მთავრობას დაუვალებია გუბერნიის მთავრობისათვის თვითოეულ მაზრაში დაუყონებლივ შეადგინონ დამფასებელი კომისია, რომლის მოვალეობა იქმნება ორი პროცენტი გადასახადი დაადევან ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების და ფაბრიკა-ზავოდების შენობებს. კომისიამ უნდა შეაფასოს ახალი გახსნილი დაწესებულებები, ხელ ახლათ დააფასოს ძველები და განიხილოს თხოვნები გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლების შესახებ.

—

რკინის-გზის სადგურთა საჩივრის წიგნის ხმარების შესახებ გამოიცა ახალი კანონები: ჩაწერილი საჩივრის პირი ორი დღის განმავლობაში უნდა გაეგზავნოს გზის უფროს, რომელიც მიღებისთანავე მიანდობს სანდო პირს საჩივრის ადგილობრივ გამოძიებას ან და თვითონ გამოიძიებს. გადაწყვეტილება უნდა მოუწერონ საჩივრს გვერდზე და უნდა გააგებიონ მომჩივანს არა უგვიანეს ერთი თვისა.

—

ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტმა, პროფესორი დოკუჩაევის მოხსენებით, დაადგინა: კავკასიის მიწების შესაფასებლათ საჭიროა ორ-ნაირი გამოკვლევა. პირველათ, გამოკვლევა ნიადაგის, მეორეთ, გამოკვლევა ასეკონომიო-სამეურნო, რაც პირველს შემდეგ უნდა მოხდეს. თანახმათ ამისა უნდა დაარსდეს ორი კომისია, რის ხარჯები მთავრობამ უნდა იკისროსო.

—

მღვდელ ნიჟარაძეს შეუდგენია ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი და ფიქრობს სამეცნიერო აკადემიას გამოაცემიოს.

—

ქ. დუშეთის თვით-მართველობას დაუდგენია: ბაჟი დაედვას ეტლებს: ფაეტონზე 50 კაპ. და დროგებზე 20 კაპ. თვეში.

—

ჩაქვის საუფლისწულო მამულში ამ ჟამათ ამზადებენ მასალას ჩაის ზავოდების ასაშენებლათ. მაშინების გამოსაწერათ გაგზავნილ იქმნა საზღვარგარეთ მართველის თანაშემწე ბ. სიმონსონი, რომელმაც უკვე შეიძინა საჭირო მაშინები. მაშინებს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლება დღეში 15 ათასი გირვანქა ჩაის გამოყვანა. („სავაჭრო-სამრეწველო გაზ“.)

—

წელს პირველ იანვრიდან 12 სექტემბრამდი ბათომიდან გაუტანიათ სანათებელი ნავთი: ევროპაში 16 მილიონი და 298 ათასი ფუთი, აღმოსავლეთში 17 მილიონი და 748 ათასი, რუსეთში 3 მილიონი და 473 ათასი (იგივე გაზ.).

—

რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოებამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას საზოგადოება შავი ზღვის ნაპირას მდებარე ტყეების საწარმოებლათ.

—

ინჟენერ ვენდროვსკის და ვაჭარს ნორმარეს უმაღლესათ ნება მიეცათ დაარსონ „რუსეთ-კავკასიის სამთა-მადნო საზოგადოება“. საზოგადოებას აზრათ აქვს კავკასიაში მთა-მადნების აღმოჩენა და წარმოება. ძირის თანხა აქვს 11 მილიონ 250 ათასი მანეთი, რომელიც 45 ათას აქციით არის დანაწილებული. საზოგადოების გამგეობა პეტერბურგში იქნება.

—

მთავრობას განზრახვა აქვს ციხის-ძირთან გაიყვანოს გზები და იქაური მიწა-ადგილები იჯარით მისცეს კერძო პირთ აგარაკების გასაშენებლათ ან და ძვირფასი მცენარეების მოსაყვანათ.

—

25 ამ თვეს დანიშნული დრამატიული საზოგ. საკანგებო კრება ვერ შედგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. კრება ხელ მეორეთ დაინიშნა მომავალ კვირისთვის

—

სიღნაღი. სიღნაღის მაზრის მკვიდრთა რაოდენობა დაახლოვებით 83,984 სულს უდრის. აი, უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ამ მაზრაში რამდენი ცალი და რა ფასის თამასუქის ქაღალდი გაყიდულა. 1888 წ. მაზრაში გაყიდულა 4333 ცალი თამასუქის ქაღალდი, რომელზედაც დაიწერებოდა 574,850 მან. ვალდებულება:

1889 წ. 5362 ც. — 676,900 მანეთი;
1890 წ. 5389 ც. — 620,050 —
1891 წ. 5622 ც. — 644,250 —
1892 წ. 6111 ც. — 630,050 —
1893 წ. 5733 ც. — 710,750 —
1894 წ. 5998 ც. — 797,050 —
1895 წ. 6002 ც. — 710,200 —
1896 წ. 6126 ც. — 651,250 —
1897 წ. 6130 ც. — 547,550 — („ივერ.“)

## „კვალის“ კორესპონდენციები.

ქუთაისი. სექტემბრის 21 მოხდა საბჭოს სხდომა. მორიგი საკითხების გარჩევამდე ქალაქის თავმა მოახსენა კრებას გეოლოგის ბ. სიმონოვიჩის (რომელიც ქუთაისის ახლო-მახლო მდებარე წყლების გამოსაკვლევათ იყო მოწვეული) მოგზაურობის შედეგები. მას თვისი გამოკვლევა ნაქერალით მთამდე გაუგრძელებია, მარა გზათ ვერც ერთი მდინარე და წყარო ვერ უცვნია ქალაქის საჭიროების დამაკმაყოფილებელი. უნახავს მხოლოთ ორი მდინარე: ფაცრის წყარო და ღრუდო 10 ვერსის სიშორეზე ქუთაისიდან სიმონეთისაკენ, მარა, როგორც უჩვენებია ადგილობრივ დაკვირვებას და გამოკვლევას, იგი, თურმე, ზაფხულობით კლებულობს, მაგ. წელს ამისთანა წვიმიან თვეებში 500 ვედრა მოუკლია შარშანდელ გამოანგარიშებულზე და მეორეც ჩაისათვის არ ვარგა, რადგან შიგ მომეტებული ნაწილია მჟავე-ბადისა. ნამდვილი ანალიზისათვის კი ოდესაში და თფილისში გაუგზავნიათ ეს წყლები. ახლა კი სიმონოვიჩი მოდისო, თქვა ქალაქის თავმა და თუ ვისმე რამე გინდათ მოელაპარაკეთ და უჩვენეთ კიდევ თუ სადმე გეგულებათ წყლებიო, მარა რადგან ერთის მეტს არავითარი ცნობები არ ჰქონდათ სხვა წყლებზე, ამაზე ბაასი იმით გათავდა, რომ ნახოს სიმონოვიჩმა ეს მდინარეც და ისევ წავიდესო. ქალაქის თავს მოსკოვში ყოფნის დროს შეუკრებია ცნობები და თქვა, რომ ერთი ვერსის მანძილზე, სიმსხოთი 9—12 დიუმიანი, თუჯის მილები 9—13,000 მანათი დაჯდებაო, ადგილების ყიდვის და მილების დაგებისთვის კი 17—18,000 მანათი მოგვინდებაო. ეს ციფრები საკმარისათ დამაფიქრებელია ქუთათურთათვის...

შემდეგ შეუდგენ მორიგ საკითხების გარჩევას, რომელთა შორის უფრო საინტერესონი—როგორც მაგ. წინადადება ხმოსნის ს. თოფურიასი ქუთაისიდან კოპიტნარამდე ახალი რკინის გზა გავიყვანოთ და მით ქუთაისი პირდაპირ დავუკავშიროთ დიდ-რკინის გზასო და ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის გასაშენებლათ ადგილი მოვიპოვოთო—გადადვეს შემდეგისათვის, რადგან ხმოსნების საკმარისი რიცხვი არ იყო. სხვა კითხვათა გარჩევის დროს ლაპარაკი გამოიწვია კავკასიის სასწავლებელთა მზრუნველის შენიშვნებმა ქალაქის სკოლის ინსტრუქციის შესახებ. საქმე ის არის, თქვა ხმოსანმა დ. ნაზაროვმა, რომ მზრუნველის ასეთი შენიშვნები ჩვენ ინსტრუქციაზე სრულიათ კვეცს ჩვენ უფლებებს, არავითარი ხმა სკოლის მართვა—გამგეობაში ჩვენ აღარ გვექნება. ჩვენ მხოლოთ სკოლის ნივთიერათ შენახვას გვთხოვენ და მეტს არას. ამიტომ ამ საკითხს ასე უცებ ნუ

გადავწყვეტთ, სხვებს წინ ნუ გავასწრებთ, ჩვენ მეზობელ თფილისს მოუცადოთ, თორემ ასეთი წინ-ხტუნაობით ჩვენ არამც თუ ჩვენი საქმე გავაფუჭეთ, სხვებსაც ბევრი ვავნეთ. მაგალითათ საკმარისია მოვიყვანოთ ურიების საქმე. ამ საქმეში ჩვენი აჩქარებით არა თუ ჩვენ ურიებს დაუკარგეთ საარჩევნო უფლება, არამედ ჩვენის მ ხედვით რუსეთის სხვა ქალაქებშიაც აღარ მიცეს მათ ასეთი უფლებაო. ეს ბევრს მოეწონა და გადაწყვიტეს ახალი კომისია ამოირჩიონ სკოლის ინსტრუქციის პროექტის გადასამუშავებლათ. ამ კომისიაში თითქმის ერთხმათ იქმნენ არჩეულნი ი. ოცხელი, ვ. პეტრიაშილი, დ. ნაზაროვი და დ. ხელთუფლიშვილი.

ქუთაისში ხომ უაპელაციოთ საქმე არ გაკეთდება. ამ მხრით ვინ არ გინდა რომ სააპელაციოთ საქმეს არ ხდიდეს. ამ ხელათ ზოგიერთმა წინა კრებებზე დაუსწრებელმა ხმოსნებმა გაასაჩივრეს 3 მარიამობისთვის გადაწყვეტილება შესახებ ძაღლების ბაჟისა. ბევრი ილაპარაკეს ძაღლებზე ბაჟის შემოღების უხერხულობაზე, რადგან ქუთაისი ქუთაისია და არა სხვა ქალაქიო. აქ ყველანი სოფლურათ, ერთი ერთმანეთის მოშორებით ვცხოვრობთ, ყოველ წუთში საშიშროება მოგველის და თუ ძაღლებმა არ გაგვაღვიძეს ხომ ცხოვრებაც აღარ გვექნებაო. მაშასადამე, თქვენ, ძაღლებზე ბაჟის შემოღების მომხრენი, არღვევთ ჩვენი ცხოვრების მყუდროებას, და ამაზე ხელს ვერ მოგიწერთო და ბოლოს მართლაც ასე გამოვიდა. როცა ქალაქის თავი უკენჭოთ დაეკითხა ხმოსნებს ადექით ვისაც არ გსურთ ბაჟიო, 35 ხმოსანში 16 წამოდგა, მარა როდესაც მოწინააღმდევებმა ასეთი საშუალება ხმის მოსაკრებათ უმართებულოთ იცნეს და კენჭი, კენჭიო დაიძახეს, მაშინ კი სამართალი შებრუნდა და 17 ბაჟის მომხრე აღმოჩნდა და 18 წინააღმდეგი, ასე რომ აპელაციამ მხოლოთ მაშინ გასჭრაა, როცა, ჩვეულებრივათ, დახურული კენჭობია ითამაშეს.

ამას წინეთ ქუთაისის გიმნაზიის გვერდით ხეტყის მასალის საწყობები დაიწვა. ამაზე გაზეთებში და ისეც მორთეს ყვირილი: როგორ თუ ასეთი ამბავი მოხდა შუაგულ ქალაქში და ისიც სასწავლებლის გვერდით. საჭიროა ისეთი შავი საქმე, როგორიც საწყობებია, ქალაქს გარეთ გაიტანონ, რომ ამგვარ ხიფათს აცდენ გარშემო მცხოვრებლებიო. ასეთ ყვირილს მიაქცია ყურადღება ადგილობრივმა საგუბერნიო ადმინისტრაციამ და მოსთხოვა ქალაქის მმართველობას ტყის მასალის საწყობების შესახებ ზოგიერთ დადგენილებათა შეცვლა. ამან ბევრი ლაპარაკი გამოიწვია და ბოლოს გადაწყვიტეს: არსებული საწყობები დარჩეს როგორც არიან, მხოლოთ ერთი მეორეს დაშორდენ თითო საჟენით, სახიფათო მხრიდან აშენდეს ქვის კედლები და იმნაირონ ყოველივე არსებული ზომები ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგო. საყვირალი კი რაც იყო ამ საქმეში, ის მიაფუჩეჩეს. საქმე იმაშია, რომ არსებული ცეცხლის საქრობი მოწყობილობა, მის შენახვამოვლით ქალაქს, როგორც ჩანს 1897 წ. სმეტიდან, უჯდება 3655 მან. და როცა ეს მოწყობილობა უკანასკნელ ცეცხლის დროს გამოამზევრეს, აღმოჩნდა, რომ უყურადღებობის გამო ყველაფერი გაფუჭებულია და თავის დანიშნულებას ველარ ასრულებდა. ამიტომ ცეცხლი რიონის მეორე ნაპირას გადვიდა და რომ გარეშეთა მხნეობა არ გამოეჩინათ აუარებელი სახლები დაიწვოდა.

ორიოდე სიტყვას ვიტყვი ახლათ გამოსულ წიგნზე: „Смѣта доходовъ и расходовъ г. Кутаиса на 1898 г.“ ამ წიგნიდან ჩანს, რომ 1898 წ. ქუთაისის შემოსავალი უნდა იქნეს 1) უძრავი მამულებიდან—63,365 მ., 2) ვაჭრობისა და სხვა ხელობისაგან—14,997 მ., 3) სხვა-და-სხვა გადასახადები—1360 მ, 4) ქალაქის მამულებისაგან—15,938 მ., 5) ქალაქის მომართულება (предпріятій) 33,461 მ., 6) ქალაქის დახმარება და ხარჯთა დაბრუნების—27,412 მ. და 50 კ., 7) სხვა-და სხვა შემოსავალი და სულ—155,153 მ. 50 კ.—გასავალი: 1) მთავრობის დაწესებულებათა შესანახათ—780 მ., 2) ქალაქის მმართველობის შესანახათ—21,286 მ. 10 კ., 3) სატუსაღოების გათბობა—განათება—4461 მ., 4) სამხედრო სახლების გადასახადი—15,800 მ., 5) ქალაქის პოლიციის შენახვა—32,750 მ. 35 კ., 6) ცეცხლის მქრობელ რაზმის შენახვა—3,655 მ., 7) ქალაქის გასაუმჯობესებლათ—14,723 მ 78 კ., 8) ქალაქის მომართულებებზე—5,105 მ., 9) სახალხო განათლებაზე—10,156 მ., 10) მოხუცებულთა და უმწეოთა დასახმარებლათ - 750 მ., 11) საექიმო და სასანიტარო ნაწილის—საავათმყოფოთა შენახვა—13,746 მ., 12) გარდასახადებისათვის 361 მ. 26 კ., 13) შენახვა და მოწყობა ქალაქის მამულებისა—6736 მ. 25 კ., 14) ვალების გადასახდელათ—19,073 მ. 87 კ., 15) სხვა-და-სხვა გასავალი - 5872 მ. 20 კ. და სულ 155,256 მ. 81 კ. გასავალი აღემატება შემოსავალს 103 მ. 31 კ.

—

კვირას, 20 ამ თვეს, აქაურ კლუბში რუსულს ენაზე ლექცია წაიკითხა ერთმა ბედის მაძიებელმა, სხვაგან თურმე უპრაქტიკოთ დარჩენილმა ექიმმა მ. მ. რატლიუდოვ—აფანასიევმა. ლექციის საგანი იყო მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა, მისი მნიშვნელობა, განვითარება და ავათმყოფობა. ლექციაზე მომეტებულათ აქაური საშუალო სასწავლებელთა მოსწავლენი დაეს-

წრენ. ლექცია გასაგებათ არ იყო დაწერილი. აუარებელი უცხო სიტყვები, უადგილო ადგილას მოყვანილი ამონაწერები და საზოგადოთ ბუნდოვანმა გამოთქმამ აზრებისა, ლექციის კითხვა უსარგებლოთ გახადა და თუმცა ლექტორის ლაპარაკს არა უშავდა რა, მარა დამსწრე საზოგადოება არ დარჩა კმაყოფილი. ლექტორმა მიუხედავათ ამისა მომავალ კვირისათვის კიდევ დაპატიჟა საზოგადოება სხვა ამგვარივე ლექციების მოსასმენათ..

არიძე.

—

ს. ვარძია. (შორაპნის მაზრა) სოფელი ვარძია მდებარეობს ათი ვერსის მანძილზე დაბა ყვირილიდან. ეს სოფელი დაჯილდოებულია ბუნებისაგან, ასე რომ ბევრი ქალაქის მცხოვრებნი მიდიან იქ ზაფხულში დროს გასატარებლათ. იქაური ჰავას ბევრი ავად-მყოფი მოუბრუნებია და სიკვდილს გადაურჩენია. ხოლო რაც შეეხება ამ სოფლის ქონებრივ მდგომარეობას, ეს სოფელი დიდათ დაღარიბდა ამ ოთხი ხუთი წლის განმავლობაში. უმალ ღვინო იყო ამ სოფლის ცხოვრების წყარო, ის იყო მისი ჭირი, ლხინი, ავი და კარგი, ამით ისტუმრებდა საწყალი გლეხ-კაცი სახელმწიფო გადასახადს, მწერლის და იასაულის ფულს და ყოველ გვარ მოთხოვნილებას; ის იყო მისი თითქმის სტუმარი და მასპინძელიც. მარა მას აქეთ რაც „ფილოქსერა“ გაუჩნდა ვენახს და ერთიანათ მოსპო, მცხოვრებნიც დაღარიბდენ. ღვინის მოსავალმა იკლო, მოთხოვნილებამ კი ერთი ორათ იმატა. ამ მდგომარეობაში მყოფმა მცხოვრებლებმა ისევ ტყეს მიმართეს. დაიწყეს ტყეში მუშაობა, მაგრამ იქიდანაც ვერავითარი სარგებლობა ნახეს. მიდიოდა გლეხი კაცი ცხენით ორი დღის სავალზე ტყეში, იმისთანა გზები უნდა გაევლო, რომ მის შინაურთ აღარ ეგონათ, თუ ცოცხალი შინ დაბრუნდებოდა. მართლაც ბევრი ცხენი და კაცი გადავარდნილა იმისთანა კლდეებზე, რომ მათი ხაშთიც კი აღარ უნახავთ. ამნაირათ ოთხ დღეს უნდება კაცი, რომ ერთი საპალნე ყავარი მოიტანოს გასაყიდათ დანიშნულ ალაგას, მაგრამ აქაც ბედი ღალატობს. ოთხი დღის ნამუშავარი, ცხენით თუ კაცით, საქონელი იყიდება ორ შაურათად ან თორმეტ აბაზათ. ამ ნაირი მუშაობით და აღებ-მიცემობით, წინ კი არა, უკან რომ არ დაიწიოს ხალხმა ქონებით და ზნეობითაც დიდათ სანატრელია. სწორეთ არა ღირს ყავრის მუშაობა, მაგრამ რა ჰქნას ისედაც გაჭირვებულმა კაცმა, თუ ეს უკანასკნელიც არ იმუშავა. წელს კი ყველას ღიმილი ეტყობათ და მომავალში ფიქრობენ ცოტათ თუ ბევრათ წელში გასწორებაა. ამის მიზეზია ვენახი, რომელმაც შარშანდელზე ცოტა იმატა და წელს გვარიანათ ასხია.

სწავლა განათლება, ხომ ამ სოფელში სახსენებელი არ არის ქვემო იმერეთთან შედარებით. აქ ვერ შეხვდებით ასში ხუთმა რომ იცოდეს ხელის მოწერა. დაარსეს ამ სოფელში ორ კლასიანი სამინისტრო სკოლა. თუმცა ეს სკოლის შენობა უნდა მოსრულებულიყო 1896 წელს, მაგრამ დღესაც მოუთავებელია. დიდათ სასიამოვნო იქნება, რომ ამ სკოლის ჩქარა მოთავებას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს და მით ახალგაზდა წიგნის მცოდნეთ მოუმზადებდეს ამ სოფელს.

ერთი წელიწადია აქ არსებობს სამრევლო სკოლა, მაგრამ ცუდ მდგომარეობაშია, სულ ხუთი თუ ექვსი ბავში სწავლობს შიგ. მასწავლებელს თუმცა ძლიერ სურს ბავშების რიცხვმა იმატოს და კარგათაც ეკიდება საქმეს, მაგრამ ღარიბ გლეხ კაცს არ შეუძლია მცირეოდენი ფასი გამოიღოს მასწავლებლისათვის და შვილებს აღარ გზავნის სკოლაში. სამინისტრო სკოლის დაარსება უფრო იმიტომ არის სასურველი, რომ იქ ფულს ყოველი კაცი წლიურათ იხდის, გინდ ჰყოლია შვილი სასწავლებელში და გინდ არა, და რასაკვირველია მაშინ იქ ყველა შეიყვანს თავის შვილებს.

ვარძიელი.

—

ქ. ბათომი. გასულ კვირას რკინის თეატრში ჩვენი ნიჭიერი მასხიობი ქალის ნ. გაბუნია-ცაგარელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ხანუმა, კომედია ა. ცაგარელისა. წარმოდგენა საქველ-მოქმედო მიზნით იყო გამართული (სტუდენტის გრ. მახარაძის სასარგებლოთ), საზოგადოება ბლომათ დაესწრო და შემოსავალიც კარგი დარჩა. საზოგადოთ ბათუმში ქართული წარმოდგენა იშვიათია; ცოტა, მარა კარგიო—ნათქვამია, და მართლაც, რამდენჯერაც კი ყოფილა აქ ქართული წარმოდგენები, ყველას რიგიანათ ჩაუვლია. ამ ყამათ ხომ საუცხოოდ ჩაიარა. ქ-ნი გაბუნია-ცაგარლის მოსდენილმა თამაშმა (ხანუმას როლში) საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა, მრავლისაგან მრავალი ტაშის ცემა და გვირის მასილი გამოიწვია; ჩვენ ნიჭიერს მსახიობს ქალს თაიგული მიართვეს ნიშნათ ღრმა პატივის ცემისა მისი ძლიერი ნიჭისადმი. აქ ჩვენ არ მოვყვებით ქ-ნი გ.-ცაგარლის ნიჭის დაფასებას, მას ხომ მთელი საქართველო იცნობს, როგორც ნიჭიერს მსახიობ ქალს და ხანუმას როლში ხომ საუცხოვო და შეუდარებელს; მხოლოთ არ შეგვიძლია გავჩუმდეთ აქ ორ პირზედ — ბ. ნ. სტ. ხარაზოვზედ და ქ ნ ანნა სოლოაშვილზედ. როდესაც ამ ორი ადამიანის მოსდენილ თამაშს ხედავთ სცენაზედ ფიქრობთ, რომ იგინი განგებას სცენისათვის გაუჩენია. ბევრჯერ მსმენია ჩვენი სცენა ღარიბდება, საკმაო ნიჭიერი არტისტები არ გვყავსან, ვინც თითო ოროლაა, იგიც მვლე-

ბი, ახალ-გაზრდებში არავინ ჩნდება ისეთები, რომ მომავალში მესხიშვილობა, აბაშიძობა, ავალიშვილობა, გაგვიწიონოს. ცდებით, ბატონებო, და მაგალითათ ამ თქვენის შეცდომისა დაგისახელებთ ამ ორ პირს: სტ. ხარაზოვს ქ-ნ ან. სოლორაშვილს. გვყავს ჩვენ ნიჭიერი ახალგაზრდები და თუ მათ თავიანთი ნიჭი ვერ გამოუჩენიათ, ეს მათი ბრალი კი არ არის, არამედ ჩვენი, ჩვენი უყურადღებობის, ჩვენი მდგომარეობის ბრალია.

დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, არა მარტო სტუდენტ გრ. მასარაძის მხრით, არამედ მთელი ბათუმელი ქართველი საზოგადოების, რომ გვეწვია და თავისი მოხდენილი თამაშით დაგვატკბო. აგრეთვე ჩვენი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი, რომელმაც დიდი შრომა გასწია, რომ წარმოდგენას რიგიანათ ჩაეარა; მას არც ერთი რეპეტიცია არ გამოუტოვებია, მისი დარიგებით, მისი რეჟისორობით წარმოდგენამაც ჩაიარა ისე კარგათ, ისე საუცხოოთ. დიდი მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე აჭარის ქართული სკოლის მასწავლებლები ის. რამიშვილი და კლ. გოგოლაშვილი, რომლებმაც არა ნაკლები შრომა მიიღეს ამ საქმეში. დასასრულ ყველა მონაწილეობის მიმღებნი: ბ.ბ.-ნნი სტ. ხარაზოვი (აკოფა), ბესტავაშვილი, ედ. ხარაზოვი, აკაკი ხოშტარია და ვას. ახვლედიანი; ქ-ნნი ან. სოლორაშვილი, (ქაბატუა და სონა) გაჩიტაია და არდიშვილი; აგრეთვე ყველა იგინი ვინც თავიანთი შრომა და თანაგრძნობა ბილეთის გაყიდვით თუ წარმოდგენაზედ დასწრებით არ დაიშურეს და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიეს კეთილ საქმეს.

ვისურვებთ ბათუმში შემდგარიყოს წრე სცენის მოყვარეთაგან და გონების მასალას მოკლებულ ქართველობას საშვალება მისცემოდეს ხშირათ წარმოდგენების მოსმენისა, და აგრეთვე, კეთილი საქმის სასარგებლოთ, სანთლით საძებრათ არ გამხდარიყვნენ მონაწილეობის მიმღებნი, როგორც ეს ამ წარმოდგენაზედ, და ბევრ სხვებზედაც, გამოვცადეთ.

პატარა კაცი.

## კვირიდან კვირამდე

„წყალი ნაწლულს ..“ —თაგვი კატის დამჭერი — ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!—ერთი indiscretion.—

„წყალი ნაწყლულს და გზა ნაგზურს“-ო იტყვიან და სწორეთ ეგევე ითქმის ამ ჩვენ სახელოვან „ღლასნებზე“. თურმე ამათ რაც უნდა უდავიდარაბო, რაც უნდა უწირო, ერთხელ აჩემებულ გზას ვერ გადაუხვევენ და ვერა. ვინ იტყვის რამეს, ეს ამოჩემება რომ სახეირო რამ იყოს. თქვენც არ მომიკვდეთ, აბა ვისთვის იქნება სახეირო ის სიტყვებია რახა-რუხი, რასაც კორიანტელივით ააყენებენ ხოლმე თფილისის საბჭოში? ქალაქისთვის რა მოგახსენო და უბრალო მაყურებელთათვის კი თუ სასარგებლო არა — გასართობი მაინც არის. და ახლანდელ დროში გართობა, დროს გატარება ერთ დიდ მოთხოვნილებათ არის გადაქცეული. მე და ჩემი მკითხველი ძალიან ბევრს ვიცინოდით ამ პაწია „პარლამენტის“ გაზაფხულის ჰაპან წყეეტაზე. ზაფხულში შეაჩერეს ეს, ნამეტანი მოგვეიაო და ჩვენც შევაჩერეთ სიცილ-ხარხარი. ყველგან მოწყენილობა ჩამოვარდა. ახლა კი იპრიანა ღმერთმა და ისევ გაგვიხსენა ლორდ-მერმა: მოდით, მოდით, საქმეს ვიწყებთ და არავინ დააკლდეთო. გულის-ფანცქალით გავწიეთ დარბაზისაკენ. პარტიები თავ-თავის ალაგასაა, ორატორთ მუშტები სტოლზე გადმოუწყვიათ, ყველა ბრძოლისთვის ემზადება. თავმჯდომარე აცხადებს: უნდა განვიხილოთ ცხენის რკინის გზის საქმეო და კიდევაც შეინძრა ოთხივე კუთხე. ცა და ქვეყანა ამ კითხვას დაეხვია, განვიხილოთ ამბობს ერთი, არ განვიხილოთ ამბობს მეორე, განვიხილოთ, არ განვიხილოთ და ასე შუაღამემდი. შუაღამეზე კი ამდენ ნადავიდარაბევ ხალხს ძილი მოერია, „განვიხილოთ“ შემდეგისთვის გადაგვიდიაო და წავიდ-წამოვიდნენ.

* * *

მეორე სხდომაზე გადაწყდა, განვიხილოთო, მარა შენი მტერისა! განიხილეს ის რომ ყოვლათ განუხილველათ დაადგინეს: ცხენის რკინის გზა გამოვიყიდოთ და ჩვენვე ვაწარმოვოთო. ერთს ხმოსანს, აგერ მოგვიანებით, გაახსენდა: საბჭოს მსჯელობა არ ჰქონია იმის შესახებ ქალაქს ხელს მისცემს თუ არა, რომ გზა თითონვე აწარმოვოს და ჩვენ კი დავადგინეთ უთუოთ ვაწარ... — გვიანია, გვიანი, მიაყვირეს აქედან იქიდან, რის ლაპარაკი, რის მსჯელობა, დავადგინეთ და გათავდაო. ხმოსნები დიდათ კმაყოფილნი დაშორდნენ ერთმანერთს, ქალაქი ავაშენოთო! არა თუ? ერთ თვეში თფილისს ეყოლება საკუთარი „კონკა“ მოურავის და ხმოსნების წინამძღოლობით! აი მისლა-მოსვლაც მაშინ გვექნება გაჩაღებული... მარა მოურავი ახლავე უარს ამბობს ახალ თანამდებობაზე: „მე როგორც ქალაქის მოურავი ვაცხადებ, რომ გამგეობის წევრს ამ საქმისთვის ვერ მოვაცდენ, რადგან ამით ქალაქის საქმეები შეფერხდება“-ო. ასე და ამაპირაზედა. გამოდის რომ „კონკის“ საქმე ქალაქის საქმე არ არის, მაშ ვისი საქმეა, ნეტავ ვიცოდეთ? არა, ჩვენ უთუოთ ერთი სახეირო „კონკა“ გვექნება. გამგეობას ჯერ ერთი ფარანიც ვერ აუნთია

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეც აქა ვარ!



დამკვრელი ქალი (გამოქანდაკება).

რიგიანათ ქუჩაში და „კონკის“ წარმოებას მოახერხებს! ღმერთმა ქნას ჩვენ თაგვს კატა დაეჭიროს...

* *
*

რაღა მაინ-და-მაინც თფილისის საბჭოს ჩაფრენილხარ, ჩვენ თვითონვე როგორი ვართ ნუ დაივიწყებო—მეტყვის მკითხველი. ჩვენ? „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“ ჩვენ ვართ და ვართ, ამას დიდი ლაპარაკი არ ეჭირვება. რა გვაკლია, ღვთის და ბატონის წყალობა, რასაც გულით მივადგებით უთუოთ გავიტანთ... ჰო მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ერთი პატარა ნაკლულევანება ჩვენც გვაქვს: ვერაფერს გულით ვერ მივადგებით და ამიტომ საქმის გატანაც გვიჭირს, არა, არც მარტო გვიჭირს, საზოგადოთ საქმეს ვერ ვაკეთებთ, თავს და ბოლოს ვერ ვუვნებთ. აი, მაგ. ბათომი ხომ ქალაქია, და, კაი დაგვემართოს, კაი ქალაქი იყოს. ქართველობა იქ სულ ბუზივით ირევა და ჩინებული ბიჭებიც არიან ჩემმა დღემ. სათითაოთ მიუშვი რამე საქმეზე და მის სეირს გაჩვენებს, მარა ის კია, რომ ერთათ გაკეთებას ნურას მიანდობ. ქრთამი რომ მისცე ხუთმა-ექვსმა ტყუილათ მაინც ერთათ დადექიო, არ დადგება. არა გჯერათ? აი, ახლა მოევლინა მათ ერთათ დასადგომი საქმე, მარა შენც არ მომიკვდე, ერთი ალთას მიიწევა და მეორე ბალთას. აი რას გვწერენ იქიდან მომავალ ქალაქის არჩევნების შესახებ: „....ქართველები როგორც ჩანს ორ ბანაკათ იყოფა: პირველი ახლანდელი თავის ასათიანის მომხრეა, მეორე კი ერთი „მამულიშვილის“ პარტიას ეკუთვნის. ეჭვი არ არის, ქართველობა არ დაიყოფოდენ, რომ ორ-გაელენიან „მამულიშვილთ“ მათ კერძო საქმეზე აყალ-მაყალი არ მოსვლოდათ.—ხომ მაწყენინე, შეყვირა ერთმა მეორეს, გაყურებიებ შენ სეირს, მადლობა ღმერთს, არჩევნებში დრომდი ქვეყანა არ დეიქცევა და მაშინ მე ვიცი და შენ...“ როგორ მოგწონს მკითხველო, ეს მაწყენინე-გაწყენინეს პოლიტიკა, რომლის მსხვერპლათ ეს დევ-გმირნი თავის საქმეს კი არ იმეტებენ, არამედ საზოგადო საქმეს. მოდი და ამ „მამულიშვილთა“ შემხედვარე ნუ იტყვი: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?..“

* *
*

სწორეთ რომ არ არის. აბა ერთი მითხარით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად შეგიძლია ისეთი მარგალიტების ამოკითხვა, როგორც ამ დღეებში „ივერიაში“ იყო მოთავსებული. და მერე იცით რა? ერთ ქართველს (უთუოთ საცოდავა) მოგზაურობის აზრი დაბადებია. უმოგზავრია, უმოგზავრია და ბოლოს ქუთაისშიაც ჩაუღწევია და აქაც მოგზაურობა დაუწყვია... ბულვარის გარეშემო. და რადგანაც ამ ბულვარზე სხვებიც დადიან ამ ჩვენ ოდისეისსაც ესენი აუწერია და მოგზაურობის სახელით შარაზე გამოუტანია. ღმერთო ჩემო, რა და რა ამბები არ წერია აქ. პირველ ყოვლისა ამ „სასაცილო მოგზაურს“ ქუთაისის ქალიშვილები არ მოსწონებია და იმათთვის ერთი დაუდარაბა აუტეხია· რაც კი ქალის ყველაზე უფრო სადუმლო და ნაზ მხარეს შეადგენს მას ცერცვივით გადმოუყრია და ზედ სიცილ-ხარხარი გაუმართავს. აბა გასინჯეთ ეს: „რიცხვი ქალიშვილებისა დღითი დღე მატულობს და იზრდება, დაკლებით კი ძალიან იშვიათად აკლდება“... არა, მეტის ამოწერა ყოვლად შეუძლებელია, განმეორება იმის რაც იქ წერია მოუხერხებელია· ამას ეტყვიან indiscretion და მისი ქუჩაზე გამოფენა არა მგონია რომ bon ton-ი იყოს...



* *
*

ვაჰ, ნუ ღხინობ, ნუ კაშკაშებ
მოციმციმე ვარსკვლავებით,
გადიკარ წმინდა შუბლი
ნისლ ბურუსით შავ-შავებით.
დაიელვე, დაიჭექე
და ქვეყანას ნიაღ-ღვარი
გადმოასხი, შესმარ ყველა
უდაბდელათ მომღიმარი.
გააშავე სიო ნელი,
მის მაგიერ ქვენა-ქარი
ამოაგდე — მოღრიალე,
მოზუზუნე, შესაზარი!..
იმ ქუხილმა მსურს რო უთხრას
ბანი აქ ჩემ გულის ძლვას,
სასტიკ ქარმა — ჩემს გოდებას,
ნიაღ-ღვარმა – ცრემლთა ბნევას.
თვარა რას ჰგავს!.. ჩემს მტანჯველთა
თანა უგრძნობ სიცილ-მღერას,
მით დამცინი, მასხრათ იგდებ
ჩემ მცნებას და გულის ძგერას!
რადას უცდი? დაიჭექე!
გადმოასხი ნიაღ-ღვარი
და უზრუნველ მოქეიფეთ
დაეც მეხი, დაეც ზარი!..

კ. გოგოლაძე.

# საზღვარ-გარეთ

საფრანგეთი. საფრანგეთის მუშათა პარტიის წლიური კონგრესი გაიხსნა ხუთ ამ თვეს ქ. მონტელიუზონში. პირველათ გაარჩიეს შემდეგი კითხვა: შეერთება სხვა და-სხვა სოციალისტური ფრაკციებისა. საფრანგეთში მუშა ხალხი ოთხ ფრაქციათ არის დაყოფილი: მარქსისტები ანუ „მუშათა პარტია“, ბლანკისტები, ალემანისტები და დამოუკიდებელნი. ამათში უძლიერეს და უდიდეს ფრაქციას წარმოადგენენ პირველნი. მიზანი და ლტოლვილება ყველას ერთნაირი აქვს, მარა ორგანიზაცია კი თავ თავისი. მუშათა პარტიის (იგივე მარქსისტების) კონგრესში ქალაქისმა წინადადება შეიტანა შევაერთოთ ყველა ეს ორგანიზაციებიო. კონგრესმა ეს ასე გადაწყვიტა: ფრაქციების შინაგანი წყობილება დარჩეს ხელ-უხლებელი, ხოლო დაარსდეს მათი „კავშირი“, რომელიც თვითოეული ფრაქციის წარმომადგენელებისაგან უნდა შედგეს და რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველასათვისო. შეიარაღების შესახებ კონგრესმა ასეთი აზრი გამოთქვა: დღევანდელ ბურჟუაზიულ წყობილებაში ყოვლად შეუძლებელია მილიტარიზმის მოსპობა, მხოლოთ ამ წყობილების მოსპობას შეეძლება ერთა შორის წინააღმდეგობის მოსპობა და მასთან ერთათ ბოლო მოეღება მილიტარიზმსაცო. დრეიფუსის საქმის გამო დაადგინეს: გაეაძლიეროთ აგიტაცია მხედრობის უფროსობის და მთავრობის და სასამართლოთა უსამართლო მოქმედების წინააღმდეგ და მით პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდა წინ-წავწიოთო.

**გერმანია.** ბისმარკს დარჩენია ნაღდათ $2^1/_2$ მილიონი მარკა (ერთი მარკა=45 კაპ.). ხოლო სულ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება 20 მილიონ მარკას აღემატება. მთელი ეს ამდენი ქონება მისი საკუთარი შენაძენია. მაშ იაფათ არ ღირებულა „მამულის მოყვარეობა“!

— გერმანიის მუშათა-პარტიის ცენტრალური

გამგეობის ამ წლის „ანგარიში“ გამოვიდა. ანგარიში იბეჭდება ყოველ წელს, რომ პარტიის წლიურ კონგრესზე გამგეობის მოქმედება აწონ-დაწონილი და დაფასებული იქმნას. ანგარიშიდან სხვათა შორის ვტყობილობთ: წელს გამგეობის შემოსავალი ყოფილა: 315,866 მარკა, გასავალი ყოფილა 343 ათასი მარკა. დეფიციტი მოვიდა წელს არჩევნების გამო, რაზედაც 213 ათასი მარკა დაიხარჯა. დეფიციტი შევსებულ იქმნა სათადარიგო თანხიდან. ყველაზე მეტი შემოსულა მარტში და ივლისში (84 ათასი), ყველაზე ნაკლები ნოემბერში (7,807 მარკა). შემოსავალი იკრიბება ამნაირათ: პარტიის თვითოეული წევრი, რომელიც კი პარტიის სიაშია ჩაწერილი, ვალდებულია თვიურათ გადაიხადოს არა ნაკლებ 30 პფენინგისა (სამი შაური). ასეთი ჩაწერილი წევრი, რომელსაც ფულის გადახდა სურს, ერთ მილიონამდეა, ხოლო სულ ორ მილიონს აღემატება. ამას ემატება კერძო შემოწირულება, რაც ერთობ დიდ ძალ ფულს შეადგენს. შემოსული ფულის ერთი ნაწილი რჩება ადგილობრივ გამგეობას, რომლის მოვალეობაა ადგილობრივი აგიტაცია და პარტიის ადგილობრივი საქმეების წაყვანა, ხოლო მეორე ნაწილი (უმცირესი) ეგზავნება ცენტრალურ გამგეობას. ადგილობრივ გამგეობა ოთანაირია: ქალაქის (ან დაბის), „მაზრის, გუბერნიის და მხარის (მაგ. ბავარიის, ვიურტემბერგის და სხ.). ყველა ეს დაწესებულება ერთმანერთთან არის დაკავშირებული და ექვემდებარება ცენტრალური გამგეობის (ბერლინშია) ზედა-მხედველობას. ყველა ამათი შემოსავალ-გასავალი რამოდენიმე მილიონს შეიცავს.

— გერმანიის იმ სოფლებში, რომელნიც რკინის გზიდან და ან რაიმე საძრეწველო ადგილიდან დაშორებულია, მცხოვრებთა რიცხვი კლებულობს და ამასთანავე მიწა-ადგილის ფასიც დაბლა ეშვება. მაგ. სოფ. ბრამბახის მცხოვრებნი ხუთი წლის განმავლობაში (1890—1895 წ.) 1585-იდან 1525-ზე ჩამოსულა; საკსეგრიუნის—315 სულში 278 დარჩენილა, და სხ. ერთი სოფელი, რომელიც ამ 40 წლის წინეთ დიდ სოფლათ ითვლებოდა, ახლა მაოლოთ ერთათ-ერთი მცხოვრებისაგან შედგება! ისიც საქმე წავიდოდა რომ ადგილობრივი მოხელე არ იყოს — ტყის მცველია.

**სათათრეთი.** ხვანთქარს საქმე გაუჭირეს არა მარტო მის ქვეშევრდომ ქრისტიან ერებმა, არამეთ თვით მაჰმადიანებმაც, ის ამათგან მეტ საფრთხეს გამოელის, ვინემ კრეტელთ ან სომხებისაგან. ეს რამდენიმე წელიწადია ხვანთქრის არეულ-დარეული მართველობის წინაამდეგ ახალ-გაზდა მაჰმადიანებმა დაიწყეს მოძრაობა. მათი მიზანია ლიბერალური წყობილების შემოღება, ქვეყანაში მეტი განათლების და მეტი წეს-რიგის შეტანა. მარა ეს ერთი წელია მათი მოქმედება შეჩერდა, ახლა კი ისევ დაწყებულა და თან-და-თან სამხედრო პირებსაც ედება. მრავალი ამათგანი ევროპაში გაიქცა და იქიდან ფიქრობენ მოქმედებას. ამ რამდენიმე კვირის წინეთ მაიორს სულეიმან ბეის დაუტოებია თავისი გარნიზონი ერზრუმში და ტრაპიზონში გამოქცეულა. აქ საფრანგეთის გემზე დამჯდარა და ევროპისაკენ გამგზავრებულა. სტამბოლში მას უმაღლეს მთავრობამ კაცები მიუგზავნა ჩამოდი გემიდან, დარჩი სამშობლოში და ბევრ ჯილდოს მიიღებო, მარა ყოველივე ხვეწნა ამაო იყო, ხოლო ძალათ წაყვანა არ შეეძლოთ, ვინაიდან უცხოეთის გემი უცხოეთის ადგილათ ითვლება. იმავე დროს გაიქცენ ხვანთქრის ადიუტანტი ჰუსენ ბეი და საგარეო სამინისტროს მოხელე ფაზილ ბეი. ამის გამო მრავალი მაჰმადიანი დაუტყვევებიათ.

— გრაფ ვლადიმირ ივანეს ძე კაპნისტი (რუსია) სათათრეთის მთავრობას თხოვს, რომ ნება-მიეცეს მცირე აზიაში რკინის გზები გაიყვანოს. უმთავრესი რკინის გზა იქნება გაყვანილი ტრიპოლისიდან (ხმელთა შუა ზღვის ნაპირას მდებარე) სპარსეთის გუბემდი და აქედან ერთი მტო სპარსეთის საზღვრამდი (ქალაქ ჩახიკინამდი), საიდანაც ადვილი იქნება მისი შეერთება სპარსეთის რკინის გზასთან, რასაც, როგორც გასულ კვირაში მოვიხსენიეთ, რუსეთი აკეთებს. ასე რომ ეს ორი სახელმწიფო რკინის გზებით ერთიანათ დაუკავშირდება რუსეთს.

**ჩინეთი.** როგორც ახლა გამოირკვა, ჩინეთის ლიბერალური იმპერატორის გადაყენება ლი-ჰუნ-ჩანგის საქმე ყოფილა. საქმე იმაშია, რომ რეფორმის პარტიას ინგლისის მხარე სჭერია, ხოლო კონსერვატორთ—რუსეთის. ლი-ჰუნ-ჩანგის დათხოვა იყო იმავე დროს პირველი პარტიის გამარჯვება. ამათი მეთაური ყოფილა კან-იუმეი, რომელიც ამჟამათ გაქცეულია და ინგლისის საფარველს ქვეშ იმყოფება. კან-იუმეის სიტყვით, იმპერატორს უნდოდა ბრძანება გამოეცა, რომ ჩინელებმა ევროპიული ტანისამოსი ატარონ და გძელი თმები მოიკრიჭონ, დაინგრიონ ბუდის ტაძრები და მათ მაგიერ ქრისტიანობის მზგავსი ეკლესიები ააშენონ და სხ. მარა ის იყო ხელმწიფეს წაართვეს ხელმწიფობა და ყველა ნაირი რეფორმებს ბოლო მოეღო. კან-იუმეის თან წამოუღია მრავალი დოკუმენტები, ერთი მათგანი შეეხება თურმე რუსეთის და ლი-ჰუნგ-ჩანგის დამოკიდებულებას.

**ბაზარი.** ფუთი ჩვენებური სიმინდი ლონდონში ღირს $64^{1}/_{2}$ კაპეიკი. პარკის ფასები იგივეა.

## როგორ ვიდღესასწაულოთ ასის წლის დღე საქართველოს რუსეთთან შეერთებისა.

მეცხრამეტე საუკუნე მიიწურა: დარჩა წელიწადი და რამდენიმე თვე მეოცე საუკუნის გათენებამდის. რა მოელის ჩვენ ერს მომავალში, ვერ ვიწინასწარმეტყველებთ და ამ ჟამათ შეგვიძლია ვიქონიოთ სჯა და ბაასი წარსულ ასწლოვან ხანაზე.

გასაოცრათ დადგა საქართველოსთვის მეცხრამეტე საუკუნე! დიდი ხნის ისტორიულათ და დამოუკიდებლათ ცხოვრების შემდეგ საქართველოს მოესპო თვით არსებობა და შეუერთდა რუსეთს. 18 იანვარს 1801 წელს იმპერატორმა პავლე პირველმა მოაწერა ხელი მანიფესტს რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ და 12 მარტს იმავე წელს ახლათ ტახტზე აბძანებულმა ხელმწიფემ ალექსანდრე I გამოსცა ბძანება საქართველოში უმაღლეს გამგეობის დაარსების შესახებ... აი გადის მას შემდეგ ასი წელიწადი და ჩვენი სამშობლოს სვე-ბედი რუსეთთან დაკავშირებული შეიქმნა, ისტორიული კალაპოტი გვეცვალა და უცნობ წეს წყობილების ჩარხმა ჩაგვითრია. ახალ ცხოვრების ტალღებს წინ დახვდა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ზნე-ჩვეულება, ევროპის გავლენას ერთხანათ შეებრძოლა წარსული კულტურა ჩვენი ერისა, უძველესი დროიდან შექმნილი ბერძენ-სპარსთა ზედმოქმედებით და პირველი საუკუნის გასვლასთანავე დაეტყო ეროვნული ხასიათს შეცვლა და უცხოეთის ძალის დამორჩილება.

დრო გადის და თან მიაქვს ჩასანთქავათ ყოველივე ის, რაც ერთხელ ბრწყინავდა და ცხოველის შუქით ანათებდა. მხოლოთ ისტორიული მოგონება-ღა აღვიძებს მომავალ თაობაში წარსულის ლამპარს. ისტორიული მოგონება ყველგან დაკავშირებულია იმ ძველ ნაშთებთან, რომელნიც თვალსაჩინოთ მოწმობენ ერის სიდიადეს. ამიტომ ჩვენც გვმართებს ვისარგებლოთ ასწლოვანი ხანით რუსეთთან ცხოვრებისა და მოუყაროთ თავი ისეთ ნაშთებს, რომელნიც ჩვენი ერისთვის გულსახმიერო და უცხოთათვის დასამტკიცებელი საბუთი იყოს საქართველოს თავისებური კულტურისა. ამ მიზნით, ჩვენი აზრით, საჭიროა გამოიცეს რამდენიმე სამეცნიერო ნაწერი და დაარსდეს საერო სახლი ანუ მუზეუმი, რომლის შესახებ რამდენჯერმე ყოფილა სჯა ჩვენ საზოგადოებაში. უნდა აღიბეჭდოს ისეთი ხელთნაწერები, რომელთაც აქვთ საკაცობრიო ინტერესი. მაგალითათ, იურისტებს შეეძლოთ აღებეჭდათ სამეცნიერო შენიშვნებით და შედარებითი მეთოდით შემუშავებული, „ვახტანგ მეფის კანონები", ექიმებს ამავე სისტემით აღებეჭდათ „კარაბადინი", ისტორიკოსებს „მატბერდის კრებული", რომელშიაც მოქცეულია მრავალი ცნობა, საერთო ლიტერატურისთვის საყურადღებო, ხელოვნების წარმომადგენელთ შეედგინათ ალბომი საეკლესიო, სამხედრო, საშინაო ნივთთა ტექსტით რამდენსამე ენაზე. იმ დროისთვის გამოვიდოდა უკვე მომზადებული მ. ჯანაშვილის მიერ პალეოგრაფიული ნიმუშები და უძველესი სახარება ყოვლათ პატივცემული ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასურით.

ამ დღისთვის უნდა დამზადდეს გეგმა და საძირკველი მაინც ჩაიყაროს მუზეუმის, რომელსაც შეიძლება დაერქვას სახელი მეფე ერეკლე მეორისა. თვითოეულ დარბაზს ექმნება განკერძოებული სახელი იმის-და-მიხედვით, ვისი ხარჯით იქნება აგებული და ვის მიერ შეწირული ნივთები იქნება მოთავსებული. მაგალითათ, დარბაზი თავადი სამეგრელოსი და დ. ჩუბინაშვილისა შეიცავს მათგან შემოწირულ წიგნთსაცავს, დარბაზი ა. როინაშვილისა დანიშნული იქნება განსვენებულის მუზეუმისთვის, დარბაზი დ. ბაქრაძისა აგებული იქნება მისს სახელზე შეკრებილი ფულითა და სხვ. ამავე მუზეუმში იქნება საბუნების-მეტყველო განყოფილება (კოლლექციები მინერალოგიური, ზოოლოგიური, ბატანიკური, ანტროპოლოგიური, ეთნოგრაფიული), სახალხო სამკითხველო, აუდიტორია ლექციების წასაკითხათ და სახალხო თეატრის დარბაზი. თვითოეულს დარბაზს დაერქმის სახელი ამგებლის და მომწყობელისა, როგორც ამ ჟამათ შენდება მოსკოვში მუზეუმი მდიდარ პირთა შემწეობით. ამ გვარი მუზეუმის აგებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ერმა, რადგანაც იგი იქნება საუნჯე ნაშთთა, რომელნიც მოწმობენ წარსულს, გვიღვიძებენ მომავალს იმედს და აწმყოში იქნება ჩვენი გამამხნევებელი და უცხოთათვის პატივსადები დაწესებულება. ეს დღესასწაული იქნება მშვიდობიანი, წყნარი და „კულტუროსანი" ნიშნებით აღნიშნული.

ა. ხახანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩინეთ-იაპონიის ეკონომიური მდგომარეობა.

დღეს მთელი ევროპის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული. იქ ახლა გაცხარებული ბრძოლაა, მაგრამ, საბედნიეროთ, ბრძოლა დიპლომატიური და არა ხმლითა და თოფ-ზარბაზნებით. ევროპის სახელმწიფოებმა ამ დროებით სულერთიანათ დაივიწყეს ყუბის, კრიტისა და სომხეთის საქმე და მთელი თავისი დიპლომატიური ძალა და გამჭრიახობა ჩინეთში გადაიტანეს. ევროპის დიპლომატიის ასე მიმართვას, რა თქმა უნდა, არაფერი რაინდული საფუძველი არა აქვს,—აქ არის ბრძოლა მხოლოთ ბაზრების მოსაპოებლათ. საქონლის წარმოებამ ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში უაღრეს წერტილამდე მიაღწია; მწარმოებელნი ცდილობენ ბაზარი მოუპოვონ თავიანთ ნაწარმოებს და ჩინეთს მიმართეს. ბაზრების მოპოებისათვის ბრძოლა ურთიერთ შორის და იაპონიის წინაამდეგ—ასეთია მთელი შინაარსი ევროპის ახლანდელი პოლიტიკისა.

მაგრამ აბა ერთი თვალი გადავავლოთ და გავიგოთ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს შორეული აღმოსავლეთის აღებ-მიცემობა და მრეწველობა? კიდევ დიდხანს იქნება ჩინეთი და იაპონია წარმოებათა გასასაღებელ ბაზრათ?

### I

1868 წლამდე იაპონია ცნობილი იყო მხოლოთ სხვა-და-სხვა ძვირფასი საგნების წარმოებით. ეს ერთათ-ერთი წარმოების დარგი იყო, რომელიც საზღვარ-გარეთ გამოჰქონდა იაპონიას. მაგრამ მარტო ამით აბა რას გახდებოდა? რა თქმა უნდა, იგი ამ წარმოებით ვერ გამოიწვევდა კაპიტალისა და მუშათა კონცენტრაციას და ვერც საერთაშორის აღებ-მიცემობაში ითამაშებდა რამე თვალსაჩინო როლს.

მაგრამ 1868 წელს სულ ერთიანათ შეიცვალა იაპონიის ცხოვრების პირობები. ამ წელს იაპონიაში მოხდა რევოლიუცია და საქმეც სულ სხვა ნაირათ დატრიალდა. მართალია, კიდევ 15—16 წლის განმავლობაში მას გარეგნობით დიდათ არაფრათ დატყობია ფერის ცვლა, მაგრამ ეს იყო ის ხანა, რომელშიაც იაპონია ძალას იკრებდა და ხმალს ილესავდა, რომ ძლევა მოსილი ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში მასაც საკმაო ადგილი მოუპოვებია. ამ დროს იაპონიის ცხოვრება ძველ ვუდაში ახალ მოჩუხჩუხე მაჭარს წარმოადგენდა. ამ თხუთმეტთექვსმეტი წლის განმავლობაში იაპონიის მთავრობა იწვევდა ევროპიდან: პროფესორებს, იურისტებს, ინჟენრებს; ჰგზავნიდა სხვა-და-სხვა მისიებს ევროპაში ქარხანა-ფაბრიკების მოწყობისა, საქონლის წარმოებისა და აღებ-მიცემობის საიდუმლოების შესასწავლათ; იძენდა სამუშაო იარაღებს და სხვა... იაპონიის მისწრაფება ამ მხრით ჯერაც არ შეჩერებულა; ის დღესაც გაფაციცებით ადევნებს თვალს ტეხნიკის წინმსვლელობას: აცა, სხვამ უფრო კარგი წარმოების იარაღები არ შემოიღოს და მსოფლიო ბაზრიდან უულუფოთ არ გამომისტუმროსო. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ დღესაც მრავალი იაპონელი სწავლობს ხოლმე ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქებში ფოლადის წარმოების საქმეს.

იაპონიის ცხოვრების ასეთმა მიმდინარეობამ 1885 წლიდანვე დაიწყო ნაყოფის ძლევა. ახლათ გამოღვიძებულმა პატარა იაპონიამ გააკვირვა მთელი ქვეყანა. ისე ჩქარა, ისე ძლიერათ, არსად არ აყვავებულა წარმოება და აღებ-მიცემობა, როგორც აქ. მან დაჩრდილა და თავისი წარმოებრივი გენიის წინაშე ქუდი მოახდევინა თვით ტრანსვალისა და ანგლო-საქსონთა ახალშენებს. სატამოჟნო დაწესებულების სტატისტიკა, რომლიდანაც ჩვენ აქ მხოლოთ რამდენსამე ციფრებს მოვიყვანთ, ნათლათ დაგვანახვებს, თუ რა სისწრაფით, რა ძლევა-მოსილობით მიექანება წინ წარმოებისა და პროგრესის ეტლი იაპონიაში. შემდეგ სქემაში მკითხველი დაინახავს იმ საქონლის რაოდენობას, რომელიც 1887—1895 წლების განმავლობაში იაპონიიდან გამოუზიდავთ, ან შეუტანიათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1887 წ. | შემ. | 52,4 | მილ. იენის*) | საქ. გატ. | 51,7 | მილ. იენ. |
| 1890 „ | „ | 79,5 | „ „ | — „ | 62,9 | „ „ |
| 1892 „ | „ | 71,— | „ „ | — „ | 91,— | „ „ |
| 1893 „ | „ | 88,— | „ „ | — „ | 90,— | „ „ |
| 1894 „ | „ | 111,— | „ „ | — „ | 117,— | „ „ |
| 1895 „ | „ | 136,— | „ „ | — „ | 129,— | „ „ |

აქ ერთობ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ექვ-

*) იენა უდრის $1^1/_2$ მანეთს.

სი წლის განმავლობაში (1890—95) გამოტანილი საქონლის რაოდენობამ 106% იმატა.

მოვიყვანოთ უფრო დაწვრილებით ცნობები. შევჩერდეთ ჯერ ბამბა-ქსოვილების წარმოებაზე და ვილაპარაკოთ თვით ციფრები. 1886 წლიდან 1894 წლამდე, შეუმუშავებელი ბამბ-ს შემოტანა 35 ჯერ გადიდებულა.

| | | |
|---|---|---|
| 1886 წ. შემოუტან. | — 700 000 | იენის სადირალი ბამბა. |
| 1890 „ „ | 5 400.000 | „ „ „ |
| 1893 „ „ | 15,000.000 | „ „ „ |
| 1894 „ „ | 24,000.000 | „ „ „ |

იმავე დროს განმავლობაში შემუშავებულის (ნაქსოვი) შემოტანა 13 მილიონიდან 5 მილიონზე ჩამოსულა. ეს ცხადათ გვაჩვენებს იაპონიის საწარმოო ძალას. იაპონია ერთათ-ერთი მხარეა დედამიწის ზურგზე, რომელსაც მეორე—მესამე დღეს გამოაქვს საქვეყნო ბაზარზე ის საქონელი, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ თვითონ სხვა ქვეყნებისგან ჰყიდულობდა. სულ რამდენისამე წლის განმავლობაში (1892—94 წ) ბამბა-ქსოვილების გატანა 7.000-დან 955,000-მდე გადიდებულა.

გავითვალისწინოთ უფრო წვრილმანი წარმოების საქმე. სპიჩკის წარმოება 1886 წლიდან 75 ჯერ გადიდდა. 1885 წელს იაპონიიდან გამოუტანიათ სპიჩკა მხოლოთ 400,000, 1895 წელს კი ეს რიცხვი 5 მილიონამდე ასულა. 1885 წელს გამოუტანიათ 75,000 ცალი ქოლგა, ახლა კი იაპონიას გამოაქვს აზიის ბაზრებზე $2^1/_2$ მილიონი ქოლგა. აბრეშუმეულების ქსოვილებისა და ცხვირსახოცების გამოტანა იმავე დროს განმავლობაში 1.200,000 იენიდან 8 მილიონამდე ასულა. იაპონია ყიდულობს მატყლს ავსტრალიაში და ტოკიოს, ოსაკსა და იოკაგამის ფაბრიკებში ამზადებს მატყლის ქსოვილებს.

ამ მოძრაობაში დიდ უნარს იჩენს თვით იაპონიის მთავრობა: სადაც კერძო ინიციატივა ვერაფერს აკეთებს, ან ვერ აუდის, იქ თვით ხაზინა იწყებს საქმეს. იაპონია იძულებულია ფოლადი ინგლისში, ბელგიასა და გერმანიაში იყიდოს; რომ ამ ქვეყნებიდან სრულიად დამოუკიდებელი იყოს იაპონიის მთავრობამ, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, გაგზავნა სპეციალური მისსია ევროპაში ფოლადის წარმოების შესასწავლათ. მარტო ამითიც არ დაკმაყოფილდა იგი: 1896 წლის ბიუჯეტში $11^1/_2$ მილიონი იენი შეიტანა სიმონესაკში ფოლადის სადუღებელი ქარხნების გასაჩაღებლათ.

II

იაპონია განხორციელებული მაგალითია იმ მხრითაც, რომ მრეწველობასთან ერთათ, მეურნეობა და მთა-მადნის წარმოებაც ააყვავა. მიწის მუშაობაზე ზრუნვას ერთობ დიდ ადგილს უთმობს დღეს იაპონია. გაუმჯობესებულმა სამუშაო იარაღებმა და ადგილების მორწყვის საუკეთესო სისტემამ მართლაც რომ ჩინებული ნაყოფი მისცა იაპონიას. ათიოდე წლის განმავლობაში (1880—1890) ბრინჯის მოსავალმა თოთხმეტი მილიონი გექტოლიტრი მოიმატა (56—70); ხორბალი და პურის მოსავალი 22 დან 35 მილიონამდე გადიდდა; ჩაის მოსავალმა ერთი სამათ იმატა. ბჟოლის ხის პლანტაციებმა, რომლითაც აბრეშუმის ჭიას ჰკვებამენ, 1886 წლიდან 1892 წლამდე 350 არკიდან 600 არკამდე აიწია.

წარმოების ყოველი დარგის გაუმჯობესებასთან ერთათ იაპონიამ მოუმატა საჭირო ქვა ნახშირის წარმოებასაც. 1884 წელს მხოლოთ 815.000 ტონი ნახშირი ამოუთხრიათ იაპონიაში. 1894 წელს კი — 2.620.000 ტონი, ესე-იგი სამჯერ მეტი ქვა ნახშირი. მაგრამ მარტო თავისი საჭიროებისათვის როდი ამზადებს იაპონია ქვა-ნახშირს: იმას დიდ უკიანესა და სხვა ზღვათა ნავთ-სადგურებში გამოაქვს იგი გასასყიდათ, მაგალითათ: ადენში, კანდიაში და ასე წარმოიდგინეთ, ჰოლლანდიასა და გერმანიაშიაც კი!

ამავე მიზნით იაპონიამ ენერგიულათ მოჰკიდა ხელი რკინის გზებისა და საქონლის გადატანის გაადვილების საქმეს. 1872 წელს იაპონიას მხოლოთ ერთათ ერთი ტოკიო-იოკოგამის რკინის გზა ჰქონდა, რომელიც სიგრძით 30 ვერსტს უდრიდა. 1880 წელს კი ეს რიცხვი 170 ვერსტათ გადაიქცა. 1887 წ.— 1000 ვერსტათ, 94 წელს 9800 ვერსტათ... თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რკინის გზის ტარიფი იაპონიაში ერთობ მცირეა, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება თუ რა გავლენას იქონიებს რკინის გზების ასე ზრდა „აზიის დიდი ბრიტანიის“ წარმოების განვითარებაში.

რკინის გზებთან ერთათ იზრდება და ვითარდება ზღვაზე მიმოსვლაც. თითქმის ყოველ თვიურათ ინიშნება ახალ-ახალი რეისი იაპონიასა და უკიანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის სხვა-და-სხვა შესანიშნავ ნავთ-სადგურთა შორის. იაპონიის საზღვაოსნო კამპანიებმა მძლავრათ ალაგმეს თავიანთი ამერიკელი და ევროპიელი მოქიშპენი და ლამის თავის ქვეყნიდან სრულიადაც გამოაძევონ. 1880 წელს იაპონიას მხოლოთ 210 გემი ჰყავდა, რომელიც 41,000 ტონ ტვირთს იღებდა. 1895 წელს კი 17 გემი ჰყავდა, რომელიც 521,000 ტონ ტვირთს იტევდა. მთავრობაც დიდ შემწეობას აძლევს ამ კამპანიებს.

III

იაპონია თან-და-თან ამარცხებს ევროპას შორეულ აღმოსავლეთის ბაზარზე. იაპონელთა მეტოქეობა მომავლის საქმეს არ ეკუთვნის, ის უკვე ფაქტია, რომლის უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელია. ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის და ამერიკის ვაჭარ-მრეწველნი კარგათ გრძნობენ ამას. წერილი რომ არ გაგვიგძელდეს ახალი ციფრებით, ჩვენ მოვიყვანთ მხოლოთ ერთ-ორ მაგალითს. ავიღოთ აღმოსავლეთის უდიდესი პორტი-სინგაპური. ორ წელში (1892 —1894 წლ.) იაპონიისაგან იქ შეტანილ საქონელს უმატნია 845,000-დან 24,200,000 დოლარამდე, მაშინ როდესაც ინგლისის საქონელი ძლივს 17-დან 21 მილიონამდე ასულა, ე. ი მეორე ალაგზე დასკუპებულა. იაპონურმა ქოლგამა და სპიჩკამ და აგრეთვე იაპონურმა ქვანახშირმა სრულიად გამოდევნეს იქიდან ევროპის ასეთივე საქონელი და მალე შაქრის შემოზიდვასაც მოუსპობს ფორმოზა ევროპას. იაპონია ავსებს ჩინეთს თავის საათებით, სარკეებით და თეთრეულობით. გონკონგში ინგლისის ქვანახშირის შეზიდვამ ექვსჯერ იკლო, იაპონიის მეტოქეობის გამო. იაპონიის საქონელმა სიამშიაც იპოვა გზა. და ბოლოს იაპონია ინდოეთშიაც კი ძირს უთხრის ინგლისის ვაჭრობას ქვანახშირითა და თითქმის ქსოვილებითაც. იაპონიის საქონელი იმარჯვებს სიიაფით. მართალია, საქონელი უვარგისია, მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში ნაკლებათ დაეძებენ საქონლის ღირსებას და გემოვნებაც ჩვენსავით განვითარებული არ აქვთ. იაპონელები მკაცრათ მისდევენ ნემეცთა თქმულებას: „იაფი და საძაგელი". მათი საქონელი ინგლისისაზე ბევრათ უარესია, სამაგიეროთ ორწილათ იაფია.

(დასასრული იქნება)

---

## წერილები შვეიცარიიდან.

V

შვეიცარიაში თითქმის ყველა სარწმუნოების წარმომადგენელს შეხვდებით და არც ერთი მათგანი არაა მოკლებული არავითარ პოლიტიკურ უფლებას, თუმცა დღესაც ებრძვიან ერთმანეთს პროტესტანტები და კათოლიკები. რომის პაპა თავის გავლენის გასავრცელებლათ შვეიცარიაში ცდას არ აკლებს, მაგრამ საერთოთ პროტესტანტები და რადიკალ სოციალისტები ულტრამონტანიზმს არ აძლევენ გზას და პაპის ცდა უნაყოფოთ რჩება.

სწავლა-განათლება შვეიცარიაში ძალიან გავრცელებულია. ყველა შვეიცარიელმა იცის წერა-კითხვა. ამ მხრით რუსსო და პესტალოცცის სამშობლო ნამდვილი კლასსიკური ქვეყანაა. პირველ დაწყებითი სწავლა სავალდებულოა. ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას შვეიცარიაში სკოლებს აქცევენ. ზოგიერთ კანტონებში ღარიბი დედ-მამის შვილებს სასწავლო ნივთებს უფასოთ აძლევენ. კანტონები ხარჯს არ უშინდებიან; მაგ. ჟენევა ერთ მეოთხედს თავის კანტონის ბიუჯეტისა მარტო საერო განათლებაზე ხარჯავს. ძალიან გავრცელებულია სხვა-და-სხვანაირი საშუალო, სახელოსნო და სატეხნიკო სასწავლებლები. ამ პაწია შვეიცარიაში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი სამი მილიონს არ აღემატება, შვიდ კანტონში არის უმაღლესი სასწავლებლები (სხვა-და-სხვა ფაკულტეტით, საინჟინერო ნაწილით და სხ.).

შვეიცარია შესანიშნავია აგრეთვე საქონლის მოშენებით; ამ ხრით ევროპაში შვეიცარიას ბევრი არა ჰყავს ტოლი. აქედან წელიწადში ერბო გააქვთ სამასი და ყველი კი 13 ათას ტონამდე (ტონი 62 ფუთია). მაგრამ პური კი არ მოსდით საკმარისათ და იძულებული არიან იყიდონ სხვა სახელმწიფოებში. ღვინო ბევრი მოდის აქ (1,5-ზე მეტი შემუშავებული მიწისა სავენახოთაა გადაქცეული), მაგრამ შვეიცარიელებს, ქართველების არ იყოს, ძალიან უყვართ ღვინის სმა და ამიტომ აქაური ღვინო არ ყოფნის მათ და ღვინოსაც ყიდულობენ.

არა მგონი სადმე კიდევ იყოს ისე ხშირი რკინის გზები როგორც აქ და ეს საუკეთესო მაჩვენებელია მისი მრეწველობის დიდი განვითარებისა. აქ მრეწველობა ძალიან მაღალ ხარისხზე დგას.

სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ შვეიცარიაში ვაჭრობა ძალიან განვითარებულია და შედარებით თითქმის ყველა სახელმწიფოებზე (?) მაღლა დგას. შვეიცარია, როგორც ყველას უწყის, განთქმულია საათით; აგრეთვე აქედან ბევრი გააქვთ აბრეშუმეულობა. შესანიშნავია ძვირფასი ნივთების და მანქანების კეთებით და სხვა-და-სხვა ხელ-საქმით.

—

შვეიცარია ცნობილია აგრეთვე, როგორც „ევროპის თეატრი", როგორც ევროპის აგარაკი. დადგება გაზაფხული თუ არა განათლებული ქვეყნების ყველა კუთხიდან ავათმყოფი და კარგათმყოფი, ვისაც კი შესწევს საშუალება, მოისწრაფიან შვეიცარიისკენ, რომ დასტკბენ მისი მაღალ კულტურასთან შეერთებული ბუნების სიმშვენიერით. აპრილიდან ოკტომბრამდი მთელი შვეიცარია ბაღათ იქცევა. თუ ევროპის დიდ ქალაქებში და სახელმწიფოებში თქვენ სარგებლობთ კაცობრიობის ცოდნის უხვი ნაყოფით, შვენიერ ბუნებას მაინც მოკლებული ხართ, შვეიცარიაში კი ორივეს ერთად ჰპოებთ. კულტურა ალამაზებს და ფასს დებს ბუნებას, ბუნება აორკეცებს კულტურის მნიშვნელობას.

—

ამ შვენიერ ქვეყანაშიაც გაისმის ოხვრა-კვნესა, ამ თავისუფალ და დაწინაურებულ მხარეშიაც მეფობს უთანასწორობა, ამ ყოველნაირათ შემკულ რესპუბლიკაში არიან დაჩაგრულნი და დამჩაგვრელნი. აქაურთა მდიდართა გვერდით ხედავთ ღატაკებს და მშიერებს, იქაც, ერთი მხრითსიმდიდრე და ბედნიერება დამკვიდრებულა, ხოლო მეორე მხრით — სიღარიბე დ ტანჯვა. ამნაირი მდგომარეობა აქაც იწვევს ბრძოლას: დაჩაგრული იბრძვის თავის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის, ცდილობს დამჩაგვრელს გამოგლიჯოს ხელიდან შრომის იარაღი და შემდეგ თანასწორ პირობებში შეეჭიდოს. ეკონომიურ წინმსვლელობამ წამოაყენა ახალი პირობები, დაბადა ახალი ინტერესები, ახალი პოლიტიკური ძალები, მოითხოვა პიროვნების სრული პოლიტიკური განთავისუფლება. ამას მოჰყვა საერთო კენჭის ყრა, პროპორციონალური წარმომადგენლობა, ინიციატივა, რეფერენდუმი და ამნაირათ ეს იარაღი გახდა საერთო, ყველასთვის ხელის მისაწვდენი და სახმარი. ახლა კი ეკონომიური უსამართლობის ბოლოს მოღება არის дѣло времени. ზოგიერთ კანტონებში უკვე შემოიღეს პროგრესსიული გადასახადი კაპიტალზე და შემოსავალზე, რკინის გზები გადავიდა ერის საკუთრებაში. უკვე დაყენებულია კითხვა, სახელმწიფომ მიიღოს თავის თავზე პურის ყიდვა-გაყიდვა, რომ ვაჭრებმა არ ცარცვოს ხალხი; ცდილობენ სწავლა-განათლება ყველასთვის იყოს უსასყიდლო და სავალდებულო 15 წლამდე და სხვ.-და-სხვ. ყველა ამას თან-და-თან მიჰყავს ხალხი უმაღლეს განვითარებაში.

დ. თოფურიძე.

ქ. ჟენევა.

# განცხადება

ქალ ვაჟთა სკოლა ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა დ. ხონში, პირველ სეკტემბრიდან ამა 1898 წლისა, ნებართვითა ზ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქნება ქალების ოთხკლასიან სასწავლებლათ.

# პროგიმნაზიის

კურსით. მოსწავლეთა გამოცდა უნცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 10 დან 30 სეკტემბრამდე. ეგზამენები იქმნება ყოველ დღე, ნაშუადღევის 2 საათიდან. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის — ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მანეთი წელიწადში. (3—3)

# მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ნაგორნის და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, სახლი საგარდა—პოსერბსკისა, № 12. სწავლა დაიწყება 1-ს ენკენისთვეს.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

Дов. ценз. Тифлисъ, 27 Сентября 1898 г. Тип. М. Д. Ротінианца —სტამბა. მ. დ. რო[illegible] п. д., № 41.